განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საჯარო მმართველობა

შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი

29.07.2020

დასკვნის წარდგენის თარიღი

04.09.2020

თბილისი

2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	200002120
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საჯარო მმართველობა
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელიკვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	საჯარო მმართველობის მაგისტრი კვალიფიკაციის კოდი 0413
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო დოლიძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ფარსადანიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნიკოლოზ ბაგაური, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია უსდ-ს რექტორის ბრძანებით №01-05/024, 05.05.2020. იგი განხორციელდება საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის ქართულ-გერმანული სამაგისტრო პროგრამის სანაცვლოდ, რომელიც ამჟამად მილევად რეჟიმშია. პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს, წელიწადში – 60 კრედიტს, სემესტრში – 30 კრედიტს. შესაბამისად, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა 2 წელს ანუ 4 სემესტრს შეადგენს.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 29 ივლისს, 10:00 საათიდან. COVID-19 პანდემიით შექმნილი განსაკუთრებული ვითარების გამო, ვიზიტის პროცესში რამდენიმე მონაწილესთან ინტერვიუ განხორციელდა ონლიან, zoom.us პლატფორმის გამოყენებით. დღის წესრიგის მიხედვით ჩატარდა შეხვედრები/გასაუბრებები პროგრამაში ჩართულ მხარეებთან, კერძოდ: უსდ-ს ადმინისტრაცია; პროგრამის თვითშეფასების ჯგუფი; პროგრამის ხელმძღვანელი და ფაკულტეტის დეკანი; უსდ-ს/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, მომიჯნავე (მილევადი)პროგრამის სტუდენტები და კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები.

ვიზიტის ფარგლებშიგანხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, აუდიტორიები, კომპიუტერული კლასები და ა.შ.) ადგილზე დათვალიერება. სამუშაო ვიზიტი მიმდინარეობდა მშვიდ და კონსტრუქციულ გარემოში. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა, ამომწურავად ემსჯელა და ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითა და არსებული წესის გათვალისწინებით პროგრამის სტანდარტები და კომპონენტები შემდეგნაირად არის შეფასებული:

	სტანდარტი	**შესაბამისობა**
1	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2	სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

3	სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4	სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
5	სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2-ის ქვესტანდარტი 2.2. (საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი) 2.3 (სასწავლო კურსი) და 2.4 (პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება) მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- **რეკომენდაციები**

  - პროგრამის კურიკულუმის ეკონომიკრი კომპონენტის გაძლიერების მიზნით დაემატოს ეკონომიკის საფუძვლების შინაარსის საგანი, სავალდებულო არჩევითი სტატუსით, რომელიც სავალდებულო იქნება იმ სტუდენტებისათვის ,რომელთაც სწავლების სხვა საფეხურზე მსგავსი შინაარსის საგანი გავლილი არ აქვთ;

  - საგანი „რეგულირების გავლენის შეფასება“ პირველი სემესტრის სავალდებულო საგნების ბლოკიდან გადატანილ იქნას მეორე ან მესამე სემესტრის სავალდებულო საგნების ბლოკში და მის წინაპირობად განისაზღვროს საჯარო პოლიტიკა და ეკონომიკის საფუძვლები;

  - საგნებისათვის „სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა“ და „მენეჯერული ეკონომიკა“ წინარეკვიზიტად განისაზღვროს ეკონომიკის საფუძვლების შინაარსის საგანი

  - პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება პროგრამის სხვა კურსების ფარგლებში, გარდა პროფესიული პრაქტიკისა და კონკრეტული საგნების შუალედური შეფასების ერთ-ერთ კომპონენტად პრაქტიკული ხასიათის დავალებების განსაზღვრა, მაგალითად „რეგულირების გავლენის შეფასების“ კურსში.

  - პრაქტიკული კომპონენტის შესაფასებლად პრაქტიკის გარდა ალტერნატიული პროექტის შესაძლებლობის შეთავაზება (სოციალური პროექტი, წინასადიპლომო ჯგუფური პროექტი ან სხვა აქტივობა), რაც სტუდენტს იმავე სწავლის შედეგებზე გაიყვანს
  - სამაგისტრო ნაშრომში კვლევითი კომპონენტის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, საგნის „კვლევის მეთოდები“ ძირითად ბლოკში გადმოტანა და აკადემიური წერის თემატიკის დამატება.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - საგნის „ინგლისური ენა საჯარო მმართველობისათვის“ ნაცვლად ძირითად ბლოკში

ერთი ან რამდენიმე საგნის ინგლისურენოვანი ვარიანტის შეთავაზება

- საგნიდან „ლიდერობა“ გაიმიჯნოს საჯარო მმართველობის თემები და ჩამოყალიბდეს სპეციალობის დამოუკიდებელ, სავალდებულო კურსად.

- „ლიდერობის“ საგანს დაემატოს ადამიანური რესურსების მარტვის თემები და ჩამოყალიბდეს საელწოდებით „ადამიანური რესურსების მართვა და ლიდერობა საჯარო სექტორში“

- პროფესიული პრაქტიკისა და სამაგისტრო ნაშრომის კრედიტების გადახედვა და, შესაბამისად, 10 და 20 ECTS-ის მინიჭება

- აკადემიური პერსონალის მხრიდან სტუდენტების მეტი ინფორმირება განმარტებით დონეზე საერთაშორისო სამენციერო ბაზების გამოყენების კიდევ უფრო მეტად ხელშესაწყობად.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა(ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია, როგორც უსდ-ს მისიასთან ასევე პროგრამის უშუალო განმახორციელებელი საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის მისიასთანაც, რომელიც მიზნად ისახავს: *"მაღალკვალიფიციურ საჯარო მოხელეთა კადრების მომზადებას თანამედროვე სასწავლო-მეთოდოლოგიური რესურსის გამოყენებისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვის გზით".* პროგრამის უშუალო მიზნებს წარმოადგენს ისეთი კურსდამთავრებულების მომზადება რომლებსაც ექნებათ ღრმა და სისტემური ცოდნა საჯარო მმართველობითი სისტემებისა და საერთაშორისო/ევროპული ინსტიტუტების საქმიანობის სპეციფიკის შესახებ, რათა შეძლონ შესაბამისი მართვის სტრატეგიების განსაზღვრა და ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღება; პროგრამის მიზანია, რომ სტუდენტებს განუვითაროს პროფესიული და სახელმწიფოებრივი აზროვნების უნარი. უზრუნველყოს, მათთვის ისეთი უნარების გამომუშავება, რომლებიც დაეხმარებათ სახელმწიფო მმართველობით აპარატსა და სხვა უწყებებსა თუ ორგანიზაციებში დასაქმებაში. ჩამოუყალიბოს სტუდენტებს მეცნიერული კვლევის კულტურა და მოამზადოს ისინი საერთაშორისო აკადემიური და სოციალური/პროფესიული მობილობისათვის, პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გზით. ჩამოუყალიბოს სტუდენტებს დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების სისტემა, რომლის საფუძველზე შეძლებენ უწყვეტ პროფესიულ განვითარებასდა საკუთარი წვლილის შეტანას საჯარო მმართველობის თეორიასა და პრაქტიკაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პროგრამის თვითშეფასების ანგარიში

- საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
- უნივერსიტეტის მისია
- საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის სტრატეგია

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებულიპროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არისშესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;

- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების შესაბამისად, ხოლო სასწავლო კურსებით განსაზღვრული სწავლის შედეგები თავის მხრივ თავსებადია პროგრამაში გაწერილ სწავლის შედეგებთან.

პროგრამას ასევე თან ერთვის შედეგებისა და მიზნების რუკა შესაბამისი აღწერილობით და იმ შედეგობრივი მიზნებით, რაზეც გადის პროგრამა.

პროგრამაზე თანდართული დოკუმენტები ცხადყოფს, რომ სწავლის შედეგების ფორმირება განხორციელდა კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებელთა კომიტეტის წევრების, აკადემიური პერსონალისა და გარე შეფასების ექსპერტის მონაწილეობით, რათა დაცული ყოფილიყო ბალანსი პროგრამით გათვალისწინებულ თეორიულ და პრაქტიკულ ელემენტებს შორის და პროგრამა თავსებადი ყოფილიყო შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. შესაბამისად პროგრამაში მოცემული სწავლის შედეგები შეესაბამება დასაქმების სფეროში არსებულ მოთხოვნებს.

სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები მოცემულია შესაბამისი საგნების სილაბუსებში.

პროგრამის სწავლის შედეგები მოიცავს ყველა იმ უნარს, რომელთა განვითარებასაც ემსახურება პროგრამის შემადგენელი თითოეული სასწავლო კურსი, აღნიშნული დასტურდება თითოეული სასწავლო კურსის მიზნის შედარებით სასწავლო კურსის შედეგებთან. პროგრამის სწავლის შედეგები იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობებს.

პროგრამის სწავლის შედეგების მუდმივი დახვეწის მიმართულებით განხორციელებულ სამუშაო პროცესში კონსულტაციები სისტემატურად მიმდინარეობს სკოლის ფარგლებში არსებულ *კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთაკომიტეტის* წევრებთან, ისევე როგორც, უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარებისა და მარკეტინგული კვლევის სამსახურთან. კონსულტაციების შედეგად მზადდება ბაზრისა და სტუდენტთა შეფასებების კვლევის ანგარიშები რათა პროგრამაში შეტანილ იქნას შესაბამისი კორექტირება და მოხდეს შემდგომი მსვლელობის მიცემა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუქა
- კურიკულუმის რუქა
- პროგრამის შეფასების გეგმა
- გარე შეფასება

• ვიზიტის განხორციელებისას ჩატარებული ინტერვიუები
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არისშესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის	X			

შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა				

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა დამტკიცებულია უსდ რექტორის ბრძანებით №01-05/024,05.05.2020. პროგრამაზე მიღება, ინფორმაციის საჯაროობა და ხელმისაწვდომობა, ასევე პროცედურები, წინაპირობები და წარსადგენი დოკუმენტაცია რეგულირდება შიდა საუნივერსიტეტო დოკუმენტით - სტუდენტთა სტატუსისა და სასწავლო რეგლამენტის II თავით (სტუდენტის სტატუსის მოპოვება, მუხლი 5) პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს შემდეგს: ა) ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია; ბ) საერთო სამაგისტრო გამოცდებზე დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვა; გ) უნივერსიტეტის მიერ დაწესებულ გამოცდებში (სპეციალობა; უცხო ენა - ინგლისური) მინიმალური ზღვარის გადალახვა (B2დონე). უცხო ენის გამოცდისაგან თავისუფლდებიან ის აპლიკანტები, რომლებიც წარმოადგენენ სერთიფიკატს სტანდარტიზებული ტესტირების შედეგების შესახებ არანაკლებ ALTE B2 დონის შეფასებით ან სწავლობდნენ და აკადემიური ხარისხი მინიჭებული აქვთ უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, სადაც სწავლა ხორციელდება ინგლისურ ენაზე.

ინფორმაცია პროგრამის შესახებ, კერძოდ კი პროგრამის ანოტაცია და კითხვარი სამაგისტრო გამოცდების შესახებ, წარედგინება შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში და განთავსდება უსდ-ს ვებ-გვერდზე (http://gruni.edu.ge/), სადაც ასევე განთავსდება შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის საკითხები, შესაბამისი ლიტერატურის მითითებით, ფორმები, ვადები და მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტები.

ამჟამად ვებ-გვერდზე განთავსებულია საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის ქართულ-გერმანული სამაგისტრო პროგრამის შესახებ ინფორმაცია (http://gruni.edu.ge/uploads/files/catalogue_geo/Samagistro/) 2017-2018 წლებისათვის.

საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე მაგისტრანტობის კანდიდატების ჩარიცხვის წესი განისაზღვრება „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების შესაბამისად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა
- უსდ ვებ-გვერდი (http://gruni.edu.ge/)
- პროგრამის ბმული ((http://gruni.edu.ge/uploads/files/catalogue_geo/Samagistro/)
- თვითშეფასების ანგარიში
- სტუდენტთა სტატუსისა და სასწავლო რეგლამენტი
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

Xშესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არისშესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია.შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საჯარო მმართველობის პროგრამა შედგენილია უსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის მარეგულირებელი დოკუმენტის მიხედვით (დანართი 7), რომელიც, თავის მხრივ, ეფუძნება საქართველოს კანონმდებლობას, საერთაშორისო აქტებსა და უსდ-ს სამართლებრივ აქტებს. პროგრამის შემუშავების დროს გათვალისწინებულია პროგრამის აგების ძირითადი პრინციპები: კონტექსტის პრინციპი (პროგრამის ინტეგრირებულობა განათლების სამივე საფეხურთან და უსდ-ს სხვა პროგრამებთან), ლოგიკურობის პრინციპი (პროგრამის სტრუქტურა, მეთოდოლოგია და კავშირი მიზნებსა და შედეგებთან), ბალანსის პრინციპი (თანაფარდობა პროგრამის ძირითად პარამეტრებს შორის), ღიაობის პრინციპი (მუდმივი გაუმჯობესების შესაძლებლობა, მოქნილობა ინდივიდუალური სასწავლო გეგმების, სიახლეების ადაპტირების თვალსაზრისით), მიღწევადობის პრინციპი (პროგრამაზე დაშვების მკაფიოდ განსაზღვრული მოთხოვნები). ამავე დოკუმენტით განისაზღვრება პროგრამის რეკვიზიტები, სწავლის შედეგების მიღწევა, პროგრამის ზოგადი სტრუქტურა და სხვ.

საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა 120 ECTS-ს მოიცავს და მისი

სტანდარტული ხანგრძლივობაა 4 სემესტრი (2 წელი), სემესტრში 38 კვირა, საიდანაც 30 კვირა მოიცავს სალექციო და შუალედური შეფასების პერიოდებს, ხოლო 8 კვირა - კონსულტაციებსა და შემაჯამებელ შეფასებებს. წელიწადში სტუდენტს შეუძლია მინიმუმ 60, არაუმეტეს 75 ECTS მოგროვება.

პროგრამა ითვალისწინებს სავალდებულო ძირითად, (40 ECTS) სავალდებულო არჩევით (30 ECTS), თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო (10 ECTS), თავისუფალი კომპონენტის არჩევით (არანაკლებ 10 ECTS) დისციპლინებს, პროფესიულ პრაქტიკას (15 ECTS) და სამაგისტრო ნაშრომს (15 ECTS).

პროგრამის შემუშავების, პერიოდული შეფასებისა და განვითარების პროცესი მონაწილეობითია და მას ორგანიზებას უწევს ე.წ. „პროგრამის კომიტეტი". კომიტეტი, თვითშეფასების ჯგუფისგან განსხვავებით, მუდმივმოქმედი სტრუქტურაა და მის შემადგენლობაში შედიან ძირითადი დაინტერესებული მხარეები, სტუდენტები და აკადემიური და მოწვეული პერსონალი. უსდ-ს ინსტიტუციური სტრუქტურიდან პროგრამის განვითარებაში ჩართულია სტრატეგიული განვითარებისა და მარკეტინგული კვლევის სამსახური და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ისევე, როგორც კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კომიტეტები. მონაცემები პროგრამის მიმდინარეობის შესაფასებლად მიიღება ბაზრის კვლევის, სტუდენტთა შეფასებების, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და აკადემიური/მოწვეული პერსონალის გამოკითხვების შედეგად.

სწავლება-სწავლის მეთოდებისა და აქტივობების, ასევე შეფასების მეთდების ჩარჩო უზრუნველყოფს პროგრამის კომპონენტების მიერ სწავლის შედეგების მიღწევას, კომპონენტებს შორის ლოგიკურ თანამიმდევრობას და საგანმანათლებლო საფეხურისათვის შესაბამის შინაარსს, მოცულობას და კომპლექსურობას.

პროგრამის, მისი შინაარსისა და სწავლის შედეგების შესახებ ინფორმაცია სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის ხელმისაწვდომია პროგრამების კატალოგის მეშვეობით, რომელიც განთავსებულია უსდ-ს ვებ-გვერდსა და სტუდენტების სერვის ცენტრში. გარდა ამისა, ფაკულტეტზე მოქმედებს ე.წ. „დეკანის საათი", როდესაც დაინტერესებული მხარეები იღებენ ინფორმაციას პროგრამის სპეციფიკისა და სხვა დეტალების შესახებ. ამ აქტივობაში ჩართულია დეკანი, ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი, პროგრამის ხელმძღვანელი და სტუდენტების მენტორი. როგორც ინტერვიუებმა ცხადყო, გარდა ფორმალურად განსაზღვრული საათებისა, ფაკულტეტის დეკანი, ისევე, როგორც პროგრამის ხელმძღვანელი მუდმივად ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის, ასევე აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის, მათი საჭიროებიდან გამომდინარე.

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა ძირითადად შესაბამისობაშია საჯარო მმართველობის მაგისტრის მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა, ექსპერტებს რამდენიმე მოსაზრება გაუჩნდათ ამ საკითხთან დაკავშირებით: საჯარო მმართველობას კლასიფიკატორი განსაზღვრავს, როგორც ინტერდისციპლინურ დარგს, რომელიც სამ ძირითად სფეროს

ეფუძნება - სამართალი, მენეჯმენტი და ეკონომიკა. წარმოდგენილი პროგრამა საკმაოდ მდიდარია სამართლის, სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების საგნებით, თუმცა, უფრო მწირედ არის წარმოდგენილი მენეჯმენტის და ეკონომიკის სფეროები. შესაბამისად, სწავლის შედეგი 2.1. (მმართველობის პროცესთან დაკავშირებული კომპლექსური (ეკონომიკური, სამართლებრივი და სოციალური) პრობლემების გამოკვეთა, კრიტიკული ანალიზი და მათი გადაწყვეტისათვის ორიგინალური გზების/იდეების შემუშავება და განხორციელება), ექსპერთა აზრით, სრულყოფილად ვერ მიიღწევა.

პროგრამის თითოეული საგნის ფარგლებში განსაზღვრულია შესაბამისი სწავლის შედეგები და კომპეტენციები, ცოდნა/გაცნობიერების, უნარებისა და პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის კატეგორიებიდან. შესაბამისადაა განსაზღვრული შუალედური და ფინალური შეფასებებიც.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის თითქმის არც ერთ საგანს არ აქვს განსაზღვრული წინარეკვიზიტი, არც ძირითადი, არც არჩევითი და არც თავისუფალი კრედიტების ბლოკებში. იშვიათ გამონაკლისებს წარმოადგენს საგნები „სახელმწიფოს პასუხისმგებლობა“, „ხელისუფლების თეორიები - თანამედროვე მიდგომები და შეფასება“, „შედარებითი ადმინისტრაციული სამართალი“, რომელთა წინარეკვიზიტს წარმოადგენს „თანამედროვე სახელმწიფოს განვითარების ტენდენციები“; ასევე „პოლიტიკური პიარ-ტექნოლოგიები“, წინარეკვიზიტით „კომუნიკაცია“ და ევროპული ინსტიტუტების როლი ევროპული ინტეგრაციის განვითარების პროცესში“, წინრეკვიზიტით „საერთაშორისო ორგანიზაციების მნიშვნელობა თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში“.

ძირითად საგნებში პირველივე სემესტრში ისწავლება „რეგულირების გავლენის შეფასება“, რომელიც მოითხოვს როგორც საჯარო პოლიტიკის ანალიზის ცოდნას, ასევე ეკონომიკის საფუძვლების ცოდნას. შესაბამისად, ექსპერტთა მოსაზრებით, მიზანშეწონილია, RIA-ს გადატანა მეორე ან მესამე სემესტრში და მის წინაპირობად საჯარო პოლიტიკის და ეკონომიკური ბლოკის რომელიმე საგნის განსაზღვრა.

იგივე შეიძლება ითქვას საგნებზე „სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა“ და „მენეჯერული ეკონომიკა“: იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამაზე არ არის სავალდებულო გარკვეული ცოდნის მქონე სტუდენტების მიღება (მაგალითად, ეკონომიკის საფუძვლების), ექსპერტთა მოსაზრებით, მიზანშეწონილია, ეკონომიკის (მაკროეკონომიკის) შესავალი კურსის დამატება კურიკულუმში და მისი განსაზღვრა ზემოთ ჩამთვლილი საგნების პრერეკვიზიტად.

სწავლების მესამე სემესტრში თავისუფალი კომპონენტის არჩევით დისციპლინებში შეთავაზებულია საგანი „ინგლისური ენა საჯარო მმართველობისათვის“. მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტების შეფასებით, საგანი ხელს უწყობს პროფესიული ტერმინოლოგიის ეფექტურად ათვისებას, ექსპერტთა მოსაზრებით, მიზანშეწონილი იქნება მისი ჩანაცვლება რომელიმე ძირითადი საგნის ინგლისურენოვანი ვარიანტით. დამატებით, ეს ხელს შეუწყობს პროგრამის ინტერნაციონალიზაციას და უცხოენოვანი

სტუდენტების მოზიდვას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი (დანართი 7) • საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა (დანართი 1.1) • სასწავლო გეგმა (დანართი 1,1) • სილაბუსები (დანართი 1.1) • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: • პროგრამის კურიკულუმის ეკონომიკური კომპონენტის გაძლიერების მიზნით დაემატოს ეკონომიკის საფუძვლების შინაარსის საგანი, სავალდებულო არჩევითი სტატუსით, რომელიც სავალდებულო იქნება იმ სტუდენტებისათვის ,რომელთაც სწავლების სხვა საფეხურზე მსგავსი შინაარსის საგანი გავლილი არ აქვთ; • საგანი „რეგულირების გავლენის შეფასება“ პირველი სემესტრის სავალდებულო საგნების ბლოკიდან გადატანილ იქნას მეორე ან მესამე სემესტრის სავალდებულო საგნების ბლოკში და მის წინაპირობად განისაზღვროს საჯარო პოლიტიკა და ეკონომიკის საფუძვლები; • საგნებისათვს „სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა“ და „მენეჯერული ეკონომიკა“ წინარეკვიზიტად განისაზღვროს ეკონომიკის საფუძვლების შინაარსის საგანი
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • საგნის „ინგლისური ენა საჯარო მმართველობისათვის“ ნაცვლად ძირითად ბლოკში ერთი ან რამდენიმე საგნის ინგლისურენოვანი ვარიანტის შეთავაზება
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არისშესაბამისობაშიმოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საჯარო მმართველობის სფეროსთან დაახლოებული საგნები, ძირითადი კურსებიდან, არის "თანამედროვე სახელმწიფოს განვითარების ტენდენციები", სახელმწიფოს პასუხისმგებლობა", „ხელისუფლების თეორიები", თუმცა, სამივე კურსი უფრო პოლიტიკის მეცნიერებებს მიეკუთვნება, ვიდრე საჯარო მმართველობას. რაც შეეხება კონკრეტულად საჯარო მმართველობის თემებს (საჯარო ადმინისტრირების მოდელები, საჯარო მმართველობის რეფორმა, ორგანიზაციების და საჯარო პერსონალის მართვა და ა.შ.) მეტ-ნაკლებად დაფარულია კურსში „ლიდერობა". ეს კურსი ასევე მოიცავს იმ ლიტერატურასაც, რომელზეც ტრადიციულად ეფუძნება საჯარო მმართველობის საგანი (დენჰარდტი, საჯარო სამსახურის ბიუროს ანგარიშები, შესაბამისი საკანონმდებლო აქტები და დადგენილებები და ა.შ.). ექსპერტების აზრით, საჯარო მმართველობის პროგრამა, რომელიც საჯარო მმართველობის მაგისტრის აკადემიურ ხარისხს ანიჭებს, მიზანშეწონილია, შეიცავდეს საგანს, რომელსაც სპეციალობის სახელწოდება აქვს. თავისთავად, ლიდერობა არ გულისხმობს მხოლოდ საჯარო ორგანიზაციების ხელმძღვანელობას, ისევე, როგორც საჯარო მმართველობა არ არის მხოლოდ ლიდერობის თეორია. შესაბამისად, ექსპერტების აზრით, მიზანშეწონილია, გაიმიჯნოს ლიდერობის საგნიდან საჯარო მმართველობის თემები, და ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელი კურსის სახით. თავის მხრივ, ლიდერობის საგანში შესაძლებელია გაერთიანდეს ლიდერობისა და ადამიანური რესურსების მართვის თემები და ჩამოყალიბდეს ამგვარი სახით. პროგრამის ძირითადი კურსების სავალდებულო ლიტერატურა, ისევე, როგორც დამხმარე მასალა, მოიცავს სფეროს აქტუალურ მიღწევებს. გათვალისწინებულია ქართული და უცხოენოვანი უახლესი კვლევები და ანგარიშები, ასევე სახელმძღვანელო ტექსტები. მითითებული ლიტერატურა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს და სწავლების საფეხურს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი (დანართი 7)
- საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა (დანართი 1.1)
- სასწავლო გეგმა (დანართი 1.1)
- სილაბუსები (დანართი 1.1)
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- საგნიდან „ლიდერობა“ გაიმიჯნოს საჯარო მმართველობის თემები და ჩამოყალიბდეს სპეციალობის დამოუკიდებელ, სავალდებულო კურსად.

  „ლიდერობის“ საგანს დაემატოს ადამიანური რესურსების მართვის თემები და ჩამოყალიბდეს სახელწოდებით „ადამიანური რესურსების მართვა და ლიდერობა საჯარო სექტორში“

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არისშესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ-ს ხარისხის უზრუველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული სტუდენტთა (მაგისტრატურის და სადოქტორო საფეხურის) გამოკითხვა მოიცავს სამეცნიერო კომპონენტის შეფასებას, კერძოდ: 1. კვლევის წარმოების/განვითარების პირობების შეფასება; 2. კვლევით საქმინობაში სტუდენტთა მონაწილეობის მხარდაჭერა; 3. კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის პროცესის შეფასება; 4. მეცნიერ-ხელმძღვანელის საქმიანობის ეფექტურობის შეფასება; წარმოდგეინლი ანგარიშის მიხედვით, გამოკითხულ სტუდენტთა საშუალოდ 75% ყველა აღნიშნულ კომპონენტს სრულიად დამაკმაყოფილებლად აფასებს პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის მიღებას მთლიანად უზრუნველყოფს პროფესიული პრაქტიკა, რომელსაც 15 ECTS აქვს მინიჭებული. ექსპერტებს მიზანშეწონილად მიაჩნიათ, პრაქტიკული კომპონენტი გაძლიერდეს პროგრამის სხვა კურსების ფარგლებშიც და კონკრეტული საგნების შუალედური შეფასების ერთ-ერთ კომპონენტად განისაზღვროს პრაქტიკული ხასიათის დავალება, მაგალითად „რეგულირების გავლენის შეფასების“ კურსში. პრაქტიკული კომპონენტისთვის სავალდებულო კრედიტების მინიჭებამ შესაძლებელია რისკის ქვეშ დააყენოს სტუდენტის მიერ საჭირო კრედიტების მოგროვების საშუალება, რადგან პრაქტიკის გავლა დამოკიდებულია არა მხოლოდ სტუდენტზე, არამედ დამსაქმებელზე. ექსპერტების აზრით, მიზანშეწონილია, პრაქტიკული კომპონენტის შესაფასებლად პრაქტიკის გარდა ალტერნატიული პროექტის შესაძლებლობის შეთავაზება (სოციალური პროექტი, წინასადიპლომო ჯგუფური პროექტი ან სხვა აქტივობა), რაც სტუდენტს იმავე სწავლის შედეგებზე გაიყვანს. აღსანიშნავია, რომ ექსპერტებისათვის მოწოდებულ საბუთებში წარმოდგენილია მემორანდუმები მხოლოდ ორ დამსაქმებელთან საჯარო სექტორიდან, რომლებიც, შესაბამისად, გაფორმებულია 2016 და 2014 წლებში. თუმცა, ვიზიტის დროს უსდ-ს და ფაკულტეტის ადმინისტრაციამ წარმოადგინა ახალი მემორანდუმები საჯარო უწყებებთან, დათარიღებული 2020 წლის ივლისით. პროგრამის კვლევითი და სამეცნირო კომპონენტის უზრუნველყოფა ხდება სამაგისტრო ნაშრომით, რომელიც, პრაქტიკის მსგავსად 15 ECTS-ს მოიცავს. მის წინაპირობად

განსაზღვრულია ყველა საგნის გავლა, რაც ძირითად ბლოკებში შედის. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კვლევის მეთოდები არჩევით ბლოკშია, შესაბამისად, სამაგისტრო ნაშრომში კვლევის წარმართვისათვის, ექსპერტთა მოსაზრებით, აუცილებლია, კვლევის მეთოდები ძირითადი საგნების კურსში შედიოდეს, აკადემიური წერის თემების დამატებით. გარდა ამისა, ექსპერტებს მიზანშეწონილად მიაჩნიათ, პროფესიული პრაქტიკისა და სანაგისტრო ნაშრომის კრედიტების განაწილება არსებული 15-15-ის ნაცვლად, 10-20-ზე, რაც, ექსპერტთა აზრით, უფრო ადეკვატურად ასახავს კომპეტენციებს, რომლებზეც თითოეული მათგანი გადის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები (დანართი 15.7) • საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი (დანართი 7) • საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა (დანართი 1.1) • სასწავლო გეგმა (დანართი 1,1) • სილაბუსები (დანართი 1.1) • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: • პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება პროგრამის სხვა კურსების ფარგლებში, გარდა პროფესიული პრაქტიკისა და კონკრეტული საგნების შუალედური შეფასების ერთ-ერთ კომპონენტად პრაქტიკული ხასიათის დავალებების განსაზღვრა, მაგალითად „რეგულირების გავლენის შეფასების“ კურსში. • პრაქტიკული კომპონენტის შესაფასებლად პრაქტიკის გარდა ალტერნატიული პროექტის შესაძლებლობის შეთავაზება (სოციალური პროექტი, წინასადიპლომო ჯგუფური პროექტი ან სხვა აქტივობა), რაც სტუდენტს იმავე სწავლის შედეგებზე გაიყვანს • სამაგისტრო ნაშრომში კვლევითი კომპონენტის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, საგნის „კვლევის მეთოდები“ ძირითად ბლოკში გადმოტანა და აკადემიური წერის თემატიკის დამატება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • პროფესიული პრაქტიკისა და სამაგისტრო ნაშრომის კრედიტების გადახედვა და, შესაბამისად, 10 და 20 ECTS-ის მინიჭება
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს

სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არისშესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენება დარეგულირებულია უსდ-ს „სწავლება-სწავლის მეთოდებისა და აქტივობების ჩარჩო დოკუმენტით“, რომელიც განსაზღვრავს მეთოდოლოგიას პროგრამის შესაბამისი მიზნებისა და სწავლის შედეგების მიხედვით. აღნიშნული დოკუმენტით, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი გეგმავს კონკრეტული დისციპლინის ფარგლებში სწავლება-სწავლის მეთოდებს და სწავლის შედეგების მიღწევადობას. პროგრამის აღწერა, თვითშეფასების ანგარიში და თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი იძლევა ამომწურავ ინფორმაციას სწავლება-სწავლის მეთოდებზე. აღნიშნული დოკუმენტების დეტალური გაცნობისა და ვიზიტის განხორციელების პროცესში ჩატარებული ინტერვიუები ცხადყოფს, რომ პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სწავლების მეთოდები, რომლებიც გამოყენება სხვადასხვა საგნებში, მოიცავს ლექციას და პრაქტიკულ მეცადინეობას, მათ შორის: სემინარს, ქეისების და კაზუსების განხილვას, სიტუაციურ ამოცანებს, პრაქტიკულ სავარჯიშოებს, სიტუაციურ მოდელირებას და სხვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის აღწერა (დანართი 1.1.) • სწავლება-სწავლის მეთოდების ჩარჩოდოკუმენტი (დანართი 1.10) • ინტერვიუების შედეგები
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არისშესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც სრულად შეესაბამება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებას. სწავლების შედეგების შეფასების სისტემა გვაძლევს საშვალებას განვსაზღვროთ, თუ როგორ შეძლო სტუდენტმა და მიაღწია სწალვის შედეგებს. შეფასების მეთოდები ნათლადაა აღწერილი პროგრამის დოკუმენტში და გაწერილია შესაბამისი საგნების სილაბუსებში. შეფასების სისტემა გამჭვირვალეა და შეესაბამება, როგორც ადგილობრივ , ასევე საერთაშორისო სტანდარტებს. შეფასების სისტემა ორ ნაწილად/კომპონენტად იყოფა: ა) შუალედური შეფასება; ბ) დასკვნითი გამოცდა. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასებაა 100%.დასკვნითი გამოცდა ფასდება 40%, ხოლო შუალედური შეფასება -60%. მომიჯნავე მიმართულების სტუდენტებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ისინი მუდმივად იღებენ ინფორმაციას აკადმეიური შედეგების გაუმჯობესების კუთხით. შეფასების მეთოდები კარგადაა ცნობილი როგორც სტუდენტებისთვის, ასევე აკადმეიური პერსონალისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • შეხვედრა აკადემიურ პერსონალთან • შეხვედრა მომიჯნავე მიმართულების სტუდენტებთან • შეხვედრა მომიჯნავე მიმართულების კურსდამტავრებულებთან • შეხვედრა პროგრამის ხელმძღვანელთან. • აკადემიური პროგრამა და სილაბუსები • უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: http://gruni.edu.ge/
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის

